38
1916/2




№ 46 — 1916
კვირა, 13 გიორგ.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“
წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили. პირისპირ: „სორაპნი“-ს სტამბაში

წელ. მეოთხე გამოცემისა

ფასი 15 კ.



† ჰენრიხ სენკევიჩი
(იხ. ამავე ნომერში წერილი „ერის მთ. ციქული ჰენრიხ სენკევიჩი“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგობისთვის 13

**ვინ უნდა უპატრონოს საქმეს!** ძლივს ნავსი სტყდება! ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობას გადაუწყვეტია, ამ თვის 21 მოიწვიოს საზოგადო კრება,—ეს ერთი, მეორეც—ქართულ თეატრის სააღმშენებლო კომიტეტს განუზრახავს კრება მოახდინოს და ფულის მოკრებას შეუდგეს.

ეს ორივე ამბავი დიდად საყურადღებოა: ჩვენი საზოგადოების მოვალეობაა ორივეს ხალისით და სიყვარულით მოეპყრას.

მოუცლელობა, უნარის გამოუჩენლობა, უმოქმედობა უარყოფილ უნდა იქმნეს და თეატრის საქმე ჩვენის ქვეყნისთვის სანატრელ პირობებში უნდა მოვაქციოთ.

დღეს ჩვენი თეატრი საცალყბო, სამადლო ანუ საგერო აღარ უნდა იყოს. გასტროლიორი მოღვაწე ანუ მოუცლელი, მრავალი საქმით დატვირთული კაცი, უკვე დავრწმუნდით, ამ საქმეში ვერ გამოდგება.

რეპერტუარი, დასი, წესიერი წარმოდგენები, ხელოვნების ახალ-ახალი ნაბიჯები და სხ. ეგოდენად ცოცხალი საქმეა, ეგოდენად რთული და მრავალფერადი, რომ მისი ხამუშ-ხამუშად შეკეთება-შეკოწიწება არ გამოდგება. მუდმივი მარჯვე ხელი, ფხიზელი გონება და ცქვიტი თვალები—აი, ვინ უნდა დასტრიალებდეს მას თავს.

ცხოვრება გვიკარნახებს, რომ ამ საქმის წარმოების არსებული წესი—სისტემა მართველობისა—შევცვალოთ და ახალ საფუძველზე დავამყაროთ, თორემ დღეს თუ ივანეს მაგიერ პეტრეს ჩავაყენებთ, ძველ წესს კი შევანარჩუნებთ—ისევე სავალალო მდგომარეობის მოწმენი შევიქმნებით.

ჩვენი თეატრის მესვეური ბიუროკრატი-კი არ უნდა იყოს, მინდობილ მოვალეობის ფორმალურად აღმასრულებელი, არამედ თვით შემოქმედი, თაოსანი და ყოველ დაბრკოლებაში ახალ გზათა ნიჭიერად, მოხერხებით გამომძებნი...

ვინ არის ისეთი, დღევანდელ გამგეობის რომელისამე წევრს წუნი დასდოს და ქვეყნის უანგარო შვილად, გულ წრფელ და ჩვენი წინმსვლელობის მონატრე ადამიანად არ ჩავალოთ

მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ საქმის წინ წასაწევად მარტო ნატვრა არა კმარა, არამედ საჭიროა საქმეც! და თითოეული მათგანი-კი თავის კერძო საქმით ისეა დატვირთული, ანუ სხვა და სხვა საზოგადო საქმეში ჩაბმული, რომ ამ საქმისთვის ისე ვეღარ უმოქმედნია, როგორც საჭიროა; ანდა—არსებულ წესის გამო ერთი მეორეზე აგდებს საქმეს, ერთს უმეოროდ ნაბიჯი ვერ გადუდგავს—კოლეგია გახლავსთ, ყველა ჟართ მოპასუხეო და საქმე-კი უძრავადაა...

ქართ. დრამ. საზ-ის მომავალმა საზოგადო კრებამ ამ გარემოებას ბეჯითი ყურადღება უნდა მიაქციოს და, როგორც უკვე წინადაც აღვნიშნეთ, თეატრის და, საზოგადოდ, დრამატიულ საზოგადოების საქმეთა მწარმოებლად ერთი კაცი მოიწვიოს საზოგადო კრების ნდობით აღჭურვილი, რომელიც თვეში ერთხელ-ორჯელ, ანუ საჭიროების დროს გამგეობას წარუდგენს თვისი ნამოქმედარის ანგარიშს...

დიე, ასეთ პასუხისმგებელსა და საკუთრივ ამ საქმეზე მიჩენილ კაცს ჯამაგირიც გაუჩინონ,—ამითი საზ-ბა არას წააგებს.

წავიდა ის დრო, საქმის გაკეთებას მუქთი მუშებით რომ ფიქრობდენ, ანუ ამა თუ იმ „ცნობილს" კაცს ყოველივე საზოგადო დაწესებულებაში ჩარევდენ და მინდობილ საქმის გამოცოცხლებას ხალხის ძალთა ამოძრავებით-კი არა ცდილობდენ, არამედ ბრწყინვალე გვამთა ანუ უმაღლეს პირთა სასახლეებში უკანა კარით შესვლით:—ხომ დავინახეთ, ვერც მუქთი მუშა გამოგვადგა, ვერც მრავალ საქმით დატვირთული.

ცხოვრება გართულდა, გამრავალფერდა; ყოველი დარგი ჩვენის კულტურულ წინსვლისა თავისს საკუთარ კაცს გვთხოვს და ჩვენც ასეთი კაცი უნდა მოვუძებნოთ ჩვენს თეატრს, მის დამხმარე გამგეობითურთ.*)

როგორ უნდა ამოქმედდეს თეატრის ასაგებად ფულის შემკრები კომიტეტი?—ამაზე შემდეგ.

---

*) *წერილი უკვე აწყობილი და დასაბეჭდათ გამზადებული გვქონდა, როდესაც გაზ. „საქართველოში" (№ 250) თითქმის ასეთივე წერილი დაიბეჭდა ბ-ნ ვ. ღელიანისა.) პატივცემულ ვ. ღელიანიც სწორედ ამასვე მოითხოვს*

ავტ.

# ფოთლები

ვმაისობთ.., ვიშლებით.. ვციგლიგობთ.. ვიცინით..
ზამთრდება, ვყვითლდებით.. რტოს ვწყდებით ქვითინით...
რტოებზე დავრჩივართ.. ვმღერით და ვშრიალებთ..
ვნიაობთ, დავგიჟობთ.. მოლხენით ვცქრიალებთ.
ზამთრდება.. ვცვივდებით. ცრემლებით ვწკრიალებთ..
ჰაერში ყარიბად.. დავქრივართ. ვტრიალებთ.
სად ქარი დაგვფლეთავს.. უბედურთ,. ეულებს..
და სადმე ხევ-ხუვში დაჰფლავს ჩვენს სხეულებს..
სად ღვარი წაგვიღებს.. ბედით დაწყეულებს...
ულონო... უბედურ... განწირულ სნეულებს...
ვმაისობთ: ვიშლებით... ვციგლიგობთ.. ვიცინით..
ზამთრდება—ვკვდებით და მივდივართ ქვითინით! .

**ილ. მოსაშვილი**

# კრიტიკული შეცთომები

III

## „გენიოსები" და „მეფეები"

დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში (რა-მე ათი წელი კაცობრიობის ცხოვრებაში დ მანძილს არ შეადგენს) ჭეშმარიტი, მიუ-გომელი კრიტიკა „ღირსეულებათა ხელახალ ეფასებას" მოახდენს—და მაშინ ბევრი დღე-ნდელი მგოსან-მწერალი, გენიოსათ აღსარებუ-ი, მეორისა და მესამე ხარისხის საფეხურზე მობძანდება; ზოგიც, დღეს აბუზათ აგდებული ა წყვდიადით გარემოცული, დღის სინათლეს ა მზის სითბოს ეღირსება... ასე ყოფილა ნათაც—და ასე იქნება დღესაც, ასე ყოფილა ხვა ქვეყნებშიც—და ასე იქნება ჩვენშიც. თა-მედროვე კრიტიკა ან ვერ მსჯელობს, ან არ სჯელობს სწორათ და მიუდგომლათ—მეტადრე ვენში, სადაც დღეს საკუთარი შეგნება იშვიათია ა თითქმის ყველა იმას იმეორებს, რაც რო-ლიმე სახელიან პიროვნებას რაიმე მიზეზით მოცდენია...

აქაო-და ილიამ ვაჟა-ფშაველაზე წარმოსთქვა: „აკაკი, მე და შენ ფას ვაჟა-ფშაველას შემდე-გო"—და იმ დღიდან კრიტიკოსებიც და მეტა-დრე ისინი, ვინაც თითქმის სრულიად ვერ იც-ნობს ამ მწერალს, ბრმათ იმეორებენ: „მგოსან-თა მეფე ვაჟაო! გენიოსი მგოსანიო!"—და სხვ.

ღმერთო ჩემო! ისე გაახშირეს ტერმინის „გენიოსის" ძახილი, რომ ღამის ნახევარი სა-ქართველო გენიოსებათ მონათლო!.. ისე გაგვი-ჭედეს ყური ამ გენიოსობის ყვირილით, რომ ვგონებ უკვე დაეკარგა მას ფასი... ტყუილათ-კი არა სთქვა შოთა რუსთველმა, ამ მართლაც გე-ნიოსმა: „და რა ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად"-ო!

დღემდი, ჩემის ღრმა რწმენით, ერთადერ-თი გენიოსი გვყავს—და ეს გენიოსი შოთა რუ-სთველია! ბედს მადლობა შევსწიროთ, რომ ჩვენდა მანათობლათ ეს ერთი გენიოსი გაგვჩე-ნია—და ვიკმაროთ... ვიკმაროთ, თვარა, თუ ასე გავამრავლეთ—რასაკვირველია უსაფუძვლოთ—გენიოსები, მაშინ დიდებულ შოთასაც თვისი ღირებულება დაეკარგება.

გაზ. „საქართველოში" (1915 წლის 18 ნოემბრის ნუმერში) ფელეტონის ავტორი უგვი-რგვინო მეფე-მგოსნებზე თუ დაგვირგვინებულსა და დასაგვირგვინებელს ქართველ მგოსნებზე მო-გვითხრობს. დაგვირგვინებულ მეფე-მგოსნებათ საქართველოში მას მიაჩნია: შოთა, მერე... ყო-ყმანობს ილიასა და აკაკის შორის.. ყოყმანობს, მაგრამ მაინც მალე სწყვეტს საკითხს აკაკის სასარგებლოთ—და აკაკის შემდეგ მეფობას ვაჟა-ფშაველას უბოძებს და ბძანებს; „ვაჟას თავზე დიდხანს არ ჰქონია გვირგვინი; მისი ბედი თით-ქოს მიაგავს ქართველ მეფეთა ბედს, რომელთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე გვირგვინი დიდხანს არ იცდიდა... მარი ბროსეს იმერეთის მეფეთა შთამომავლობით სიაში მოხსენებულ 33 მეფეში ათზე მეტმა წელიწადზე ნაკლები იმეფეს. მაგრამ ვინ გაბედავს სთქვას, რომ ვაჟას ემძიმა სამეფო გვირგვინიო?..

აი სითამამე კერპთაყვანისმცემლისა, რომელსაც გარეშე თავისი კერპებისა არავინა სწამს!.. თუ გაბედვას ვიტყვით, გაბედვას დიდი არაფერი უნდა — და ეს თვით ზევით მოხსენებულმა მეფელეტონემ დაამტკიცა: იგი ბედავს და გვირგვინებს ურიგებს ძველ მგოსნებს და უმზადებს ახლებს! მეტი გაბედვაღა იქნება!?.

„გვირგვინოსნობა“ თუ იმ საფუძვლით სწამს ბ. მეფელეტონეს, რომ ბრბომ დაიღრიალოს: „Vive le roi! მეფეს გაუმარჯოსო!“ მაშინ, რასაკვირველია, მეფე-მგოსანი მრავალი ყოფილა ჩვენში და მრავალია დღესაც... მაგრამ ზევით მოყვანილი მისივე მაგალითი დამახასიათებელია ამგვარი მეფეებისა: იმერეთის 33 მეფეში ათზე მეტმა წელიწადზე ნაკლები იმეფაო! სწორეთ ეს არის საქმე: ვინ არის ღირსი, რომ მუდმივ იმეფოს... ყოველ შემთხვევაში — ხანგრძლივათ მაინცა, თვარა ვაშას ძახილით ვისიმე გამეფება არც ისე ძნელი საქმეა... უკვდავ მეფე-მგოსნათ კი ჩვენ დღემდი მხოლოდ შოთა მიგვაჩნია, და თუ კერპთაყვანისმცემელთათვის აუცილებელია, უთუოთ ვინმე ტახტზე წამოასკუპონ, ეს მაინც ინებონ, რომ სხვისი აზრიც დამშვიდებით მოისმინონ და ნურავის აშინებენ მეტიჩრული ფრაზით: „ვინ გაბედავსო?!“

მე მგონია, რომ ღირსეული მეფე პოეზიაში იშვიათად იბადება — და განვითარებული მკითხველი ვერ მოითმენს — ტახტზე უთუოთ იჯდეს ვინმე და გარს ეხვევოდნენ და უყიოდნენ: „Vive le roi — მეფეს გაუმარჯოსო!“. არა თუ პოეზიაში, ნამდვილს მოქალაქობრივ ცხოვრებაშიც ხშირათ ტახტი ცარიელი ყოფილა და ქვეყანა არ დაქცეულა, და რა საჭიროა — უთუოდ წამოვასკუპოთ დიდების ტახტზე იმისთანა, რომელიც ამის ღირსი არ არის?!. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ არც შოთამდი და არც შოთას შემდეგ რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჩვენს პოეზიაში „მეფე“ არა ყოფილა, და დღეს კი, ერთი საუკუნის განმავლობაში, უთუოთ სწადიათ — რამდენიმე მეფე დასვან ტახტზე!.. ბ-ნი მეფელეტონე იმასაც ნანობს, რომ აკაკის შემდეგ ცოტა ხნით ტახტი ცარიელი რჩებოდა — და ახლო მომავალში ორს ჩვენს ახალგაზრდა მგოსანს უმზადებს ტახტსა!..

„ვინ გაბედავსო?!“ მეტი გაბედვა-და კიდევ იქნება?!

ჩვენი დროის მგოსან-მწერალთა შორის თუ გნებავთ მაინცა და მაინც სამეფო ტახტზე არჩევანი მოახდინოთ, ნება გვიბოძეთ — ილიასი და აკაკის „კანდიდატურა“ საფუძვლიანათ აგვწონ-დაგვწონოთ და მათ შორის უღირსეულესი გავმეფოთ... მაგრამ მხოლოდ მათ შორის! შემდეგ კი ტახტი ცარიელი უნდა დარჩეს, რადგან გვირგვინის ღირსი ჯერჯერობით არავინ გვეგულება...

დასახელებულს ორ კანდიდატს შორის ტახტის ღირსათ ილია მიგვაჩნია — და ამის საბუთებსაც ქვევით მოგახსენებთ. ხოლო აქ ჯერ მწადია ორი სიტყვით მკითხველს ვამცნო, რომ ჩემი არჩევანი ამ შემთხვევაში ყოველივე პირადი ურთიერთობის გარეშე დგას.

ორსავე ამ მგოსანთან უსიამოვნო ურთიერთობა მქონდა სხვადასხვა ნიადაგზე — და ყოველ შემთხვევაში აკაკი მაინც მიყვარდა შესახვედრათ, შინაურ ცხოვრებაში. ილიამ აკაკიზე ბევრათ მეტათ მაწყენია ჯერ თავისი გაზეთის „ივერიის“ თანამშრომელთა საშვალებით (იხ. ჩემი „აღსარება“) და მერე თავის საკუთარი უსამართლო და უსაფუძვლო გაკიცხვით, რომელიც მან „ფირუზა“-ს ფსევდონიმით გაზ. „ივერიაში“ მიძღვნა და რომელიც მის თხზულებათა გამომცემლებმა (ბ. გედევანიშვილმა და მისმა „კომისიამ“) ამ გამოცემაში მოაქციეს — და ვერც-კი გრძნობენ, რომ ამგვარის, პოლემიკური ბრაზიანობით გამოწვეული სტრიქონების დასაბეჭდათ ჯერ დრო არ დამდგარა: ვანო მაჩაბლის, აკაკის და სხვების (მე თუ გნებავთ, ანგარიშში ნუ ჩამთვლით) გაკიცხვა იმ სახით, როგორც ეს განსვენებულმა ილიამ იკადრა, შეურაცხმყოფელია არა გაკიცხულთათვის, არამედ თვით ილიას სახელისთვის. ილიამ სიცოცხლეში თავისთვის სასირცხოთ ჩასთვალა ამგვარი სტრიქონები — და ფსევდონიმს ამოეფარა; ბ. გედევანიშვილმა და კომპანიამ კი გამოაქვეყნეს იგი, რათა შეურაცხყონ

ეროვნული ბიბლიოთეკა



(რასაკვირველია, უნებლიეთ) თვით ილიას სახელი!..

დიახ, ილიამ უსამართლოთ მაწყენია, მაგრამ მეფობის, ტახტის ღირსათ მაინც ის მიმაჩნია, და არა აკაკი.

სილვანი.

# დედის მოთქმა

სად მიხვალ შვილო, ჩემო იმედო,
სიმწრით აღზრდილო სიღარიბეში,
შენს მოხუც მშობლებს ვინ უპატრონოს,
ვინა სცეს, შვილო, ტკბილი ნუგეში?!

შენ შეგყურებდით. ჩვენი სიცოცხლე
შენზეა, შვილო, დამყარებული,
შენ შეგნატრიდენ შენი მშობლები,
შენი იმედით გახარებული.

ახლა მიდიხარ... ვაიმე, შვილო!
ნეტავ ვიცოდე სად რომელ მხარეს?
ვაი, სიცოცხლეს ტანჯულს, წამებულს,
ვაი, შენს დედას შენით მწუხარეს!..

**სიო კალანდაძე**

# მარო

იწვა მარო. ტიტველ მკერდზე ოქროს ჯვარს ათამაშებდა და მოცინარი თეთრ ჭერს გასცქეროდა, ოდეს კარების ფარღალალაში გაზეთი შემოფრიალდა. გახარებული გაზეთისაკენ გაიქცა, საჩქაროდ გაშალა და ღრმა დაკვირვებით დაიწყო კითხვა:—

„25 აგვისტოს, ხანგრძლივი ომის შემდეგ, ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა სრულიად დაიპყრო მტრის სიმაგრენი და დიდი ზარალი მიაყენა. ჩვენის მხრით დაგვიჭრეს სამი და მოგვიკლეს ერთი...“

— მხოლოდ ერთი!.. რა მცირე მსხვერპლია. ღმერთო, იყავ მფარველი ჩემი ვალიკოს!— გულმხურვალედ აღმოხდა მაროს უფლისადმი მიმართული ვედრება და ისევ გაზეთს მიმართა...... ცოტა ხნის შემდეგ ისევ განიმეორა.

— ერთი მოკლეს!... ისეთი დიდი ბრძოლა და ასე მცირე მსხვერპლი: „სამი დასჭრეს და ერთი მოკლესო“..—

— ვეღირსები, ვეღირსები ჩემი ვალიკოს შეხვედრას, ნატვრა ამისრულდება, მისთვის ტანჯული გავიხარებ და გავახარებ... ხომ ჩემო ვალიკო?! შეეკითხა სურათს, და კოცნის გვირსტით საყვარელ ქმრის სახეზე ულრმესი სიყვარული ამოქარგა, მაგრამ გულში ჩაიკრა და რამოდენიმე წუთს ნეტარების ბურანში დაჰყო.

— წავიდე, დედას ვახარო, საბრალო ისიც ძლიერ დარდობს,—სთქვა და პერანგის ამარამ დედის ოთახში კისკისით შეირბინა.

— დედი!

— რაა, შვილო!

— აბა, თუ მიხვდები, რა უნდა გახარო?

—ჩემს ხანში სადღაა, შვილო, მიხვედრა, მაგრამ თვალეიდან გატყობ გაზეთს კარგი ამბავი მოუტანია, წამიკითხე მარო!

— არა, წაუკითხავად უნდა მიხვდე!

— აღარ მიჭრის ჭკუა, შვილო!

— შეხე,— მარო სურათს აჩვენებს ვალიკოსას: ცოცხალი მყავს, ოცდა ხუთს აგვისტოს დიდ ომს უმსხვერპლოდ ჩაუვლია.

— მაინც რამდენი დახოცილა, მარო!

— რამდენი დააა...... ერთი!!.,.. ეხლა, ჩამეაონეეე.... დარბაისელმა მარიამმა ხელები გაშალა და ერთმანეთს ჩაეკონენ სიყვარულით აღსავსენი.

— დედი! უეცრად შეეკითხა მშობლიური ალერსით დამტკბარი მარო, კიდევ რამდენი დღეა ჩემს წასვლამდე?

— სამი, შვილო!

— ოხ! ვერ აგიწერ დედა, როგორ მათრობს ფიქრი იმ წუთის შესახებ, როდესაც ერთი წლის უნახავს ვალიკოს შევხვდები.. ნეტავ, თუ კიდევ მოიძებნება ადამიანის ცხოვრებაში ამ წუთზე მაღალი ბედნიერება. შენ დედა, მეათასედაც ვერ წარმოიდგენ, თუ რა ხდება ჩემს გულში, როდესაც ფიქრით უკვე მიველი. ვიკითხე, მიმითითეს იმ ოთახშიაო, დავაკაკუნე და ვალიკოს ხმის მოლოდინში, გარინდებულს, მომესმა მისი ტკბილი ხმა, შევიჭერი და......, არ ვიცი, დედა, არა, ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეწერ. რასაც იმ დროს, წმიდა ოცნების დროს მე ვგრძნობ... ამას მთელი საუკუნე მოუნდებოდი.

— შენ კი მოესწრები, შვილო, მის ნახვას, მაგრამ მე ვინ მაღირსებს, აქაც ძლივს დავბობღავ,—წარმოსთქვა გულასუყებულმა დედაბერმა და ჩასაკონებლად ხელები გაშალა, ოდეს ზარმა დაუწყნარებელი წკრიალი მორთო. თითქო შეშლილნი, ერთმანეთს შეაშტერდენ... დეპეშა მოიტანეს:

„25 აგვისტოს მოკლულს, ჩემს ვალიკოს გვამს მოვასვენებ. შენი ბიძა.“

—დედი!!! დედი!!! დედი!!! მხოლოდ ერთი მოუკვლავთ, მხოლოდ ერთი, დედი, მხოლოდ ვალიკო!!! დაიწივლა შეშლილივით მარომ და გულწასული დედის გულზე დაემხო.

**გ. დათიაშვილი**

# შეცდომა

— პეტრე! შენ დღეს წისქვილში უნდა წახვიდე.

— არ წავალ.

— რატომ?!.

— არ წავალ და იმიტომ...

— ახირებული კაცი ხარ, შეუბრალებელი, გულქვა...

— მე?!.

— სწორედ ცოლშვილი სიმშილით გეხოცება და შენ კი...

— დაიხოცნენ და იქ კი არ წავალ.

— ბოროტი ხარ, თავხედი და არა საიმედო ბირი!..

— ხა, ხა, ხა! მე? შენ კი?..

— მე დღეს ორჯელ ვიყავი, ორი ფუთი ფქვილი ამოვიტანე.

— მართლა?

— გეუბნები.

— მაშ შენ მოგიპარავს?

— რა?

— ფქვილი.

— ღმერთო ჩემო! ნუთუ ის შენი იყო?

—?!..

**ა. ჭელიძე**

# აშუღობა

**საიათნოვა (†1795) და აკაკი (1840—1915)**

სამი წლის წინად გავმართეთ სომეხთა პირველ მგოსნის საიათნოვას საღამო, ამას მეორე სწორზე-კი იმავე რიცხვებში გავმართეთ აშუღების საღამო დიდებულ მგოსნის აკაკი წერეთლის ხსოვნის პატივსაცემლად. აი, რა ნამდვილად ზედ-გამოჭრილი, მოხდენილი შედარება და მგზავსება ორ დიდებულ მგოსნის შორის:

ორივე ხალხის მონა და მსახურნი;
ორივე ხალხის საყვარელნი;
ორივე ხალხის სულსა და გულში მსხდომარნი;
ორივე ხალხის ჭირისა და ლხინის მღერალნი!

როდესაც დიდებული მგოსანი აკაკი წერეთელი დაკრძალეს და ხალხი დაბრუნდა, მე და ჩემი საუკეთესო შეგირდი გიგო ერთად ლაპარაკით მოვდიოდით. რასაკვირველია, ჩვენი ლაპარაკი აკაკი წერეთელს ეხებოდა...

ცოტა სიჩუმის შემდეგ გიგომ უცბად დაიძახა: ოსტატო, შენი ჭირიმე მაშ მოდი მაგ დიდებულ პოეტისთვისაც ერთი რამ მოიგონე... ერთი საღამოც მ[illegible]ის პატივსაცემლად გავმართოთ...

მე გამიკვირდა და ღიმილით უთხარ[illegible]ჭო, ჩემს გულში იჯექი? რა იცოდი, თუ მეც მაგას ვფიქრობდი... უეჭველად მზად იქნება ამ მოკლე ხანში-მეთქი,—მივუგე და ჩემს თავს ვუთხარი:

**ჰაზირ**, რადას ფიქრობ და ვიდას ელოდები, მოვალე ხარ ამ დიდებულ მგოსანსაც ემსახურო და პატივი სცე ღირსეულად. მისი ზოგი ერთი საუკეთესო ლექსი გადააკეთო აშუღურ ჰანგებსა და ხმებზე, რომ უფრო გავრცელდეს ხალხშია. და ხალხს დაანახო, რომ პატივცემული მგოსანი, გარდა მაღალ ხარისხოვან პოეტობისა, სახალხო აშუღიც ყოფილა...

ეჰ, მაგრამ ამას რას ვამბობ—აკაკი და აშუღი?.. აშუღი ხომ ჩვენი ხალხის დიდ ნაწილს რადაც საზიზღარ, მიუკარებელ არსებად მიაჩნია საზანდრებთან შედარებით. რასაკვირველია, საზანდრები ლამაზად არიან ჩაცმულნი, გარეგნობით მოსაწონნი... და ჩვენი ხალხის დიდი ნაწილიც სომ ჩაცმა-დახურვაში, მორთულობაში ხედავს ადამიანის ღირსებას!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიუხედავად იმისა, რომ დღეს მთელს ევროპაში—განათლებულ ქვეყნებში ძველებურ აშუღებს, ესე იგი მეფანტურეებს, რომელნიც თავიანთი საკრავებით დადიოდენ ხალხში, უკრავდენ და მღეროდენ ხალხის ჭირსა და ლხინსა, მაღლა აყენებენ გიოტე-მილდერებსა და შექსპირებზე, რადგან პირველნი იყვნენ მეორეთა მაჩვენებელნი და ოსტატნი, მეორეებმა აიღესმაგალითი პირველებისგან და ისწავლეს,—დიახ, მიუხედავად ამისა, ხალხური აშუღობა-მეფანტურობა, დღეს უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ვისაც არ უყვარს სწავლა, იმას არა ჰყვავრებია მეცნიერება.

მეც ჩემ აშუღ ამხანაგებისაგან ვისწავლე ორმოცდა ათი წლის წინად, დავდიოდით ხოლმე სოფლებსა და ქალაქებში...

რომელ ერთ მწერალს, რომელ ერთ მოძღვარს, რომელ ერთ ლექციას, რომელ ერთ მოქადაგეს შეეძლო ჩაეგონებინა ხალხისათვის ის, რასაც ვაგონებდით ჩვენ ჩვენის ტკბილი დაკვრით და მღერით.

აშუღებს დიდი როლი უთამაშნიათ ხალხში, ჩვენი ხალხი-კი თითქო ზიზღით შესცქერის აშუღებს.

რას ნიშნავს სიტყვა **აშული?** აშუღი არის არშიყი—სიმღერების და ხალხის მოტრფე და მოყვარე.

საიათნოვა არ იყო აშუღი: ის როდი მღეროდა საჩუქრისა და ფულისთვის; ის მღეროდა სულისთვის, გულისთვის და ხალხის სიყვარულისთვის. არც ჩვენი დიდებული ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი იყო მწყემსი, მაგრამ გამწყემსდა ხალხისთვის, წამოიკიდა გუდა-ნაბადი, აიღო კომბალი და შევიდა ხალხის მდგომარეობაში. აჰა კიდევ თქვენ ერთი აშუღი, როგორც საიათნოვა ამბობს თავის ერთ ლექსში: ჩემი ჭიანური ხისგან არისო. აიღო თავის ხის ჭიანური და მომართა სიმები... გაუჩინა თავის ლექსებს ხმები და ჰანგები, შევიდა ხალხში მის ჭირის და ლხინის სამღერლად.

როცა აკაკი წერეთელი გამოჩნდა, იმ ხანებში უკვე აშუღობა იდევნებოდა და ძველი უთმობდა ადგილს ახალსა,.. მგოსნის დიდი ტალანტი და ნიჭი დუღდა და გადმოდიოდა, როგორც ამოჩუხჩუხებული წყარო უშრეტელი... ნება არ მისცეს მგოსანს, რომ ყურიდღება მიექცივნა ზემოხსენებულ ხმებისა და ჰანგებისთვის.

ამით იძულებულმა დაიწყო წერა, გამოსჭრა, შეკერა და დააწყო აუარებელი ძვირ ფასი საუკეთესო ნივთები. მაგრამ საუბედუროდ ვაჭარი არსაით სჩანდა, თუმცა კი გაზეთებში იბეჭდებოდა და წიგნაკადაც გამოდიოდა, მაგრამ რა უნდა გაეწყოთ მაგით: ჯერ ახლა რა გასავალი აქვს ქართულ წერა-კითხვას, რომ მაშინ რა ჰქონოდა... ამ პატიოსან ძვირფას ნივთებს კარგათ გამოცდილი და მცოდნე ვაჭრები სჭიროდათ... აი, ამგვარი ვაჭრებიც ჩემი შეგირდები არიან—ჰაზირას დიდება და პატივი. მაგათ უნდა ააწყონ ჰანგებზე ეგ ძვირფასი ლექსები და გაავრცელონ ხალხში. მე ჩემი ვალი შევასრულე, როგორც ძველმა აშუღმა; რამდენიმე ხმა და ჰანგი შევურჩიე აკაკი წერეთლის ლექსებს, რომ დარჩეს ხალხში როგორც სიძველე. რაც შეხება ახალს, მაგას ვავალებ ჩემს შეგირდებსა, რომ რაც სხვა და სხვა თანამედროვე ჰანგები გაჩნდება, მათზე გადააკეთონ აკაკის და სხვა და სხვა საუკეთესო პოეტების ლექსებიც, იმღერონ თავიანთ მშვენიერ კილოთი...

აჰა, უმთავრესი მიზეზი, რომლის გამოც გავმართეთ აშუღების საღამო დიდებულ მგოსნის ხსოვნის პატივსაცემლად

ჰაზირა

# ჩემს გულს.

ეჰ, გულო, გულო!
უბედურო ჩემო ზღვა-გულო!
ვიცი გაღელვებს შენი ქვეყნის ტანჯვა და ჭირი,—
მაგრამ იყუჩე, ერის წყლულით დაწყლულებულო,
არ დაიგმინო,—დაიმიწე ენა და პირი...

გ. ქუჩიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**† ფრანც იოსები (1830—1916)**
ავსტრო-უნგრეთის იმპერატორი, ახლანდელი ომის დამწყები, რდაიცვალა გიორგობისთვის 8, დაბადებიდან 86 წლისა. მეფობდა 1848 წლიდან, სრულ 68 წ.



**† დავით ვასილისძე ხიზანაშვილი**
ძველი „ივერიის" თანამშრომელი, „ფშაურ ლექსების" შემკრები და სამოხსამართლო ბოქაული მეოთხე განყოფილებისა, „მოკლულ" იქმნა ვერაგულად გიორგობ. 5

# კვლავ დავუბრუნდი

კვლავ დავუბრუნდი შენს წიაღებს ჩემო მაუმლო,
გულის ცისკარო, მარად ჟამსა ვარამნახულო;
კიდევ ვიხილე შენი არე, ტურფად შემკული,
კიდევ სიამით ამიძგერა მე შენს ძეს გული.
რა რომ ვისმინე სანატრელი მტკვრისა დუდუნი.
უმალ ამომხდა ნესტიანი გულის ღიღინი;
რა რომ გიხილე, შემოგცინა გულმა და გრძნობამ,
თვით გაგიხადა გზა და ხიდათ ჩემმა ოცნებამ.
შენს ზღუდეთ შორის ცანავარდობს ჩემი ფიქრები,
გზას ვერ შემიცვლის ვერარაი, ასრე ვიქნები;
შენის ტრფობითა აღგზნებული გინდ ზეცას ავალ,
ვერ შემაშინებს ჯოჯოხეთი გინდ ქვესკნელს ჩავალ,
ოღონდ შენ გნახო კვლავ მეუღარი, სულით ძრიელი,
ოღონდ დაგეხსნას წამების ჯვრით სვავი ტიელი.
გული შენსკენ ჰრბის, მინდა ხელი გამოგიწოდო,
რომ ფეხზე დასდგე, ნაგმირალი გმირად იწოდო...
ჩემთა მოზარეთ აუნთიათ ცეცხლის კოცონი.
ბრძოლა ბრძოლას ითხოვს მამულისთვის, ოქროს უწონი.
თუ რომ ვერ შევსძლო, დაგიმარცხდე შვილი ერთგული,
თავს დამჩხაოდეს შავ ბედითი სვავი წყეული,
ნ , ნუ დააფრქვევთ ჩემსა გვამსა ცრემლისა ღვარსა,
ნუ შემიმზადებთ ცხელ სალაყბოს საფლავის კარსა;
მე ის არა მრწამს, სადაც საქმე არა კეთდება;
სად საქმე რჩება უმნიშვნელოდ, სიტყვა კი კვდება;
დაე, მოყასმა ვერ გამიგოს გულისა ძგერა,
დაე, ვამკიცხოს, მის სიმართლე მე არა მჯერა.
მე შემიყვარებს გულის სატრფო სულისა სწორი,
მან უკვე იცის ჩემი ზრახვა, ვით ორჯელ ორი...

დ. გაბრუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგზავრი

(ძღვნად ძმუს)

მგზავრმა შემთხვევით ობოლ ხის კანზე რაღაც ანბნები დანით დასერა.
არ ემჩნეოდა ხეს არაფერი გამვლელმა მაშინ რაც დააწერა.
დრო გადიოდა, და ხე რაღაცას, გამოურკვეველს გრძნობდა თვის ტანზე,
და ბოლოს ნათლად, წარწერა უტყვი ამოინაკვთა სათუთ ხის კანზე.
აღმოჩნდა, რომ მგზავრს ზედ დაეწერა თავისი გვარი, თვისი სახელი,
და დარჩა ხეზე წარწერა იგი მარად უცვლელი და წაუშლელი...
შენც კარგო, თვალთა იდუმალ ცქერით, დინჯ საუბარით, უბრალო ქცევით,
და მომხიბვლელი სულის სიწრფელით, სევდა დაკრული ღიმილის ფრქვევით;
ჩემს ობოლ გულის ფერმკრთალ ფიცარზე რაღაც დასწერე, არ ვიცი კი რა?..
და ეხლა გულში ტკბილ ტკივილებს ვგრძნობ, მოვნახე ჩანგი, ავილე წკირა,
და ვმღერი, ვმღერი ახალ სიმღერებს, დაუსრულებლად მწყურია მღერა,
და ინაკვთება შეუმჩნევლად გულის ფიცარზე რაღაც წარწერა.
გადის დრო—ჟამი და ის „რაღაცა" ჩემში ფრთებს ისხამს და ძლიერდება,
და ჯერ ნუ მკითხავ, თვით წაიკითხავ, როს სამუდამოთ გულს დააჩნდება.

ი. სიხარულიძე



პრაპორჩიკი

**ერმალოზ (ხუტუნია) ბესარიონისძე კალანდარიშვილი**

მოკლულია 1916 წ. მაისის 23 სოფ. კოლოდუბკოსთან ფიცხლ ბრძოლაში მამაცურად იერიში მიტანის დროს. დაჯილ. გიორგ. ჯვრით.

# ერის მოციქული ჰენრიხ სენკევიჩი

(1846—1916)

როდესაც პოლონეთის დამოუკიდებლობის რიჟრაჟმა აღმოუბრწყინა, და პოლონეთის მრავალ განაწამებ ხალხს თვით მოვლა-პატრონობის ბედმა გაუღიმა, სწორედ მაშინ დახუჭა თვალები ამ ქვეყნის აღდგენის მოციქულმა, ხალხის იდუმალ მისწრაფებათა უპკნობმა გამომთქმელმა, ჰენრიხ სენკევიჩმა,

მან გაიგო დიდის ხნიდან ნანატრი ხმა—პოლონეთის სამეფო აღსგაო, ხოლო ა[illegible] მოუკიდებელ, გაახატებულ სამშობლოში შესვლა ველარ ეღირსა და სამშობლოს გარედ, შვეიცარიის ქალაქ ვევში გიორგობისთვის 4 გარდაიცვალა, დაბადებიდან 70 წლისა.

იქნება ბედმან შეიბრალა, რომ თვალით არ ეხილნა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად თვისი ქვეყნის ხელახალი წარდგნა, ისეთი წარღვნა, რომელიც დიდის ოსტატობით აღსწერა თვის „წარღვნაში"?!

ვინ იცის?

მაინც მშვიდად ვერ დაიკრიფა გულხელი: აწ განმიტევე, უფალო, მონა შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგზავრი

(ძღვნად ძმუს)

მგზავრმა შემთხვევით ობოლ ხის კანზე რაღაც ანბნები დანით დასერა.
არ ემჩნეოდა ხეს არაფერი გამვლელმა მაშინ რაც დააწერა.
დრო გადიოდა, და ხე რაღაცას, გამოურკვეველს გრძნობდა თვის ტანზე,
და ბოლოს ნათლად, წარწერა უტყვი ამოინაკვთა სათუთ ხის კანზე.
გამოჩნდა, რომ მგზავრს ზედ დაეწერა თავისი გვარი, თვისი სახელი,
და დარჩა ხეზე წარწერა იგი მარად უცვლელი და წაუშლელი...
შენც კარგო, თვალთა იდუმალ ცქერით, დინჯ საუბარით, უბრალო ქცევით,
და მომხიბვლელი სულის სიწრფელით, სევდა დაკრული ღიმილის ფრქვევით;
ჩემს ობოლ გულის ფერმკრთალ ფიცარზე რაღაც დასწერე, არ ვიცი კი რა?..
და ეხლა გულში ტკბილ ტკივილებს ვგრძნობ, მოვნახე ჩანგი, ავილე წკირა,
და ვმღერი, ვმღერი ახალ სიმღერებს, დაუსრულებლად მწყურია მღერა,
და ინაკვთება შეუმჩნეველად გულის ფიცარზე რაღაც წარწერა.
გადის დრო—ჟამი და ის „რაღაცა“ ჩემში ფრთებს ისხამს და ძლიერდება,
და ჯერ ნუ მკითხავ, თვით წაიკითხავ, როს სამუდამოთ გულს დააჩნდება.

ი. სიხარულიძე



პრაპორჩიკი

**ერმოლოზ (ხუტუნია) ბესარიონისძე კალანდარიშვილი**

მოკლულია 1916 წ. მაისის 23 სოფ. კოლოდუბკოსთან ფიცხლ ბრძოლაში მამაცურად იერიში მიტანის დროს. დაჯილ. გიორგ. ჯვრით.

## ერის მოციქული ჰენრიხ სენკევიჩი

(1846—1916)

როდესაც პოლონეთის დამოუკიდებლობის რიჟრაჟმა აღმოუბრწყინა, და პოლონეთის მრავალ განაწამებ ხალხს თვით მოვლა-პატრონობის ბედმა გაუღიმა, სწორედ მაშინ დახუჭა თვალები ამ ქვეყნის აღდგენის მოციქულმა, ხალხის იდუმალ მისწრაფებათა უჭკნობმა გამომთქმელმა, ჰენრიხ სენკევიჩმა,

მან გაიგო დიდის ხნიდან ნანატრი ხმა—პოლონეთის სამეფო აღსგაო, ხოლო ამ მოუკიდებელ, გაახატებულ სამშობლოში შესვლა ველარ ეღირსა და სამშობლოს გარედ, შვეიცარიის ქალაქ ვევში გიორგობისთვის 4 გარდაიცვალა, დაბადებიდან 70 წლისა.

იქნება ბედმან შეიბრალა, რომ თვალით არ ეხილნა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად თვისი ქვეყნის ხელახალი წარღვნა, ისეთი წარღვნა, რომელიც დიდის შხატვრობით აღსწერა თვის „წარღვნაში“?!

ვინ იცის?

მაინც მშვიდად ვერ დაიკრიფა გულხელი: აწ განმიტევე, უფალო, მონა შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაიდან თვალთა ჩემთა იხილეს მაცხოვრება შენიო!—

არამედ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სიკვდილის წინა წუთებში სულთ ბრძოლაში ყოფილა: ცუდს დროსა ვკვდები, თავისუფალი პოლონეთი ვერა ვნახეო,—უთქვამს მწერალს.

ჰენრიკ სენკევიჩი დაიბადა ვოლია-ოკჟეისკში 1846 წ. სწავლობდა ვარშავაში, განათლება შეისრულა „მთავარ უმაღლეს სკოლაში". თითქმის სკოლიდანვე შუდგა მწერლობას, შემდეგ მოვლო ამერიკა და დასწერა მგზავრის შთაბეჭდილებანი, რითაც დიდი სახელიმოიხვეჭა. მთავარი ყურადღება მიაქცია თვის ერის მდგომარეობას, შეაგროვა დიდძალი ისტორიული მასალა, როგორც კერძოდ პოლონეთის, ისევე სხვა ერთა და დასწერა შესანიშნავი რომანები „ცეცხლითა და მახვილითა", „ბატონი ვალოდიევსკი", „წარღვნა", „ხმლოსანნი", „პოლონელთა ოჯახი", „ვიდრე ხვალ უფალო?" და მრ. სხ. მოთხრობა, რითაც საყოველთაო, მსოფლიო ყურადღება მიიქცია, როგორც მაღალ ნიჭიერმა მწერალმა. მისი ნაწარმოებნი გადათარგმნილია ყველა კულტუროსან ერის ენაზე, სხვათაშორის, ქართულ ენაზე გრ. ყიფშიძის მიერ საუცხოოდ თარგმნილია მისი „ცეცხლითა და მახვილითა", „წარღვნა", ი. სონღულაშვილისმიერ „ნახშირით ნახატი" და სხ. აკაკიმ, და აგრეთვე სხვათაც, სთარგმნეს მისივე რომანიდან სობოლჩიკოვ-სამარინის მიერ გადმოკეთებული პიესა „ვიდრე ხვალ უფალო?"

სენკევიჩის რომანები უმთავრესად ისტორიული შინაარსისაა; გასაოცარის მრავალფეროვანობით აღგვიწერს პოლონეთის ერის გამუდმებულს ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის. ყოველი მომქმედი პირი, ყოველი ჩირგვი, ყოველი მდინარე და კუთხე სამშობლო ქვეყნისა ისეთის ყურადღებითაა დაწერილი, რომ თვალწინ ცოცხლად წარმოგიდგენთ და თვით უხეშ—უარყოფით ამბავთა აღწერაშიც ამ ტანჯული ერისადმი უსაზღვრო სიყვარულ-თანაგრძნობას გიღვიძებთ. ეს რომანები არა თუ მხოლოდ წარსულის სურათებია, არამედ—მომავალის სარკეც. ამიტომაც იგი მწერალი შეიყვარა არა მხოლოდ მშობელმა პოლონეთის ერმა, არამედ მთელმა დაწინაურებულმა ქვეყნიერობამაც. ამ ხუთმეტიოდე წლის წინად, როდესაც საზეიმო დღესასწაული გაუმართეს საყვარელ მწერალს, მთელმა ერმა მილიონად ღირებული ბინა-მამული უყიდა და საჩუქრად მიართვა.

თუ დღეს პოლონეთი დიდიან-პატარიანად ერთ ცნობიერ მთელს წარმოადგენს, თვისი ვინაობის მტკიცედ დამცველს, ამაში არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის მის საყვარელ, უკვდავ ჰენრიხს.

ჩვენთვის, ქართველებისთვის ფრიად სასურველია არა მხოლოდ მის ნაწერთა გადმოღება, არამედ მისი ყაიდის ქართველი მწერალიც: ჩვენის უამრი სისხლ-ძვლებით მორწყულ-მოკირწყლული მამულისა და მის ერთგულ მებრძოლ შვილთა თავგადასავლის დამსურათებელი...

ასეთი მწერლები არა მხოლოდ თვის ერთ ჰმოციქულობენ, არამედ სხვათაც.

ამიტომაც უკვდავი იქნება მისი ხსენება!

**იოსებ არიმათიელი**

# ომია, ომი!...

შიტა!

# იძულებულნი

გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 45

**ხმა სცენის ზევიდან** გააღეთ, გააღეთ! გააღეთ!

**დონ-იმან.** (მთრთოლვარე ხმით და შეკავებული ცრემლებით) ჩემო ძვირფასო ძმებო! ძნელი და მწარე წუთი დაგვიდგა ახლა; ჩავუვარდით ხელში ინკვიზიციას, საიდანაც არაგზით არ შეიძლება თავის დახწევა. მხოლოდ, თუ სასწაულით გადაურჩება კაცი იმ საშინელ ონავარი მხეცის კბილებს. ველოდეთ უფალს, რომ გვიხსნის ამ მწუხარებიდან, გვიხსნის მათ ხელიდან და უკანასკნელ წუთამდეც ვესავოთ მას. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მზათ კი უნდა ვიყვნეთ ყოველგვარი უბედურების დასახვედრად, განვამტკიცოთ ჩვენი გული რწმენითა და უფლისადმი სიყვარულით, და მზათ ვიყვნეთ დავიხოცნეთ მისი სახელის სადიდებლად. ძნელი და აუტანელი ტანჯვა-მწუხარება მოგველის ახლა. სასტიკ და ულმობელ ინკვიზიციას აქვს ათასნაირი საშუალება კაცთ სატანჯველად და საწამებლად, რომელიც არავითარ კაცს არ ძალუძს აიტანოს. ჩემო ძვირფასო ძმებო! ნუ თუ მოიპოება თქვენ შორის ისეთი ადამიანი, რომ ეშინოდეს წამებისა, იმ დროს, როდესაც მას ახსოვს, რომ ის იტანჯება, რომ ის ტვირთულობს ყველა ამას ჩვენი ღმერთისა და ერის გულისთვისა?

**ყველა შეკრებილნი.** არა, არა! ჩვენ ყველანი მზათ ვართ გავწიროთ თავი, ჩვენი ერისა და ღმერთის გულისათვის! ყველანი! ყველანი!

**ხმა სცენის ზევიდან.** გააღეთ! გააღეთ! გააღეთ? (კარებზე ბრახუნი თანდათან მატულობს და თანდათან ზარის დამცემია).

**დონ-იმან.** ჩემო ძვირფასნო ძმანო! ჩვენ არ ვიხოცებით ჩვენი ცოდვა-ბრალის გულისთვის: ჩვენ არავითარი ბოროტი საქმე არ ჩაგვიდენია, არ დაგვითხევია უმანკო სისხლი, არ წარგვიტაცია სხვის ავლა-დიდება, არ დაგვიშავებია კაცისთვის არასფერი, და არავისთვის არა გვივნია—რა. არ ვიღუპებით ჩვენი ცოდვა-ბრა[illegible]ს გამო, არამედ ჩვენი სიმართლისა და [illegible]ლ წრფელობისთვის, ჩემო ძვირფასო ძმე[illegible] ნუ თუ მოიპოება თქვენ შორის ისეთი კაცი, რომელმაც უარჰყოს ალალ-მართლური სიკვდილი და არჩიოს ავაზაკური და მზაკვრული სიცოცხლე?

**ყველა შეკრებილნი.** ჩვენ ყველანი მზათ ვართ დავიხოცნეთ! ამ ჟამად ჩვენ შორის არც ერთიც არ მოიპოება, რომ ეშინოდეს სიკვდილისა! სუყველანი მზათ ვართ დავიხოცნეთ ჩვენი ერისა და ღმერთისათვის!

**დონ იმან.** ჩემო ძვირფასო ძმანო! დავიფიცოთ ყველამ ამ წმინდა დაბადებაზე, რომ უკანასკნელ წუთამდე დავშთებით ერთგულნი ჩვენი ერისა და ღმერთისა. არავითარ წამებას, რაც კი მოიპოება მთელ ქვეყანაზე, არ ძალლუძს უარ გვაყოფინოს ჩვენი ღმერთი და სარწმუნოება. როგორც ებრაელები დავბადებულვართ, ისევ ებრაელებად დავიხოცნოთ!

**ყველა შეკრებილნი.** ვფიცავთ! ვფიცავთ!

**ხმა სცენის ზევიდან.** გააღეთ! გააღეთ! (ბრახუნი თანდათან მატულობს).

**დონ იმან,** ახლა შეგვიძლიან დავიხოცნეთ არხეინად. ახლა შეგვიძლიან გული დინჯად და დამშვიდებულად ვიქონიოთ. მაგრამ უკანასკნელ წუთამდეც ნუ დავკარგავთ სასოებას ღვთისადმი. ვინაიდან ჩვენი ღმერთი არის ღმერთი ყოვლად შემძლებელი, და შეიძლება უკანასკნელ წუთს, იმ დროს როცა გვგონია, რომ აგერ უკვე დავიღუპენით—შეიძლება სწორედ იმ დროს მოგვევლინოს ხსნა მისი.

**ყველა შეკრებილნი.** (ადაპყრობენ თვალებს და ხელებს ზეცად). ღმერთო ჩვენო და ღმერთო მამათა ჩვენთა! ნუ მიგვატოვებ! (ბევრნი სტირიან. ბრახუნი მატულობს).

**დონ იმან.** (დიეგოს და კლარას). მომისმინეთ, შვილებო! დიდი უბედურობა დაგვატყდა ახლა თავს. მე თქვენ გიამბეთ, რომ მეფის შვილი, რომელიც აჩვენებს თავს მონად, მუდამ საფრთხეშია, რომ არ გაიგონ მისი ვინაობა, ვინაიდან აუცილებელი სიკვდილი მოელის მეთქი. აი, ახლა კიდეც გვეწია ეს უბედურება; ბოროტმა პირებმა გაგვცეს და აცნობეს, რომ ებრაელები ვართ. ახლა

თავს დაგვესხენ შესაპყრობად და დასახოცად ყველა ეს ხალხი, თქვენი მახლობელნი და საყვარელნი დახოცილ იქმნებიან; მე, თქვენი საყვარელი მასწავლებელი, რომელსაც მეც მიყვარხართ, მოკლულ ვიქნები; თქვენი კეთილნი მშობელნი, რომელთაც ასე ძალიან უყვარხართ, დახოცილნი იქმნებიან,—აბა, ახლა თქვენ მითხარით, ჩემო საყვარელო შვილებო, თქვენ რას არჩევთ: სიკვდილს თქვენს მშობლებსა და საყვარელ მეგობრებთან ერთად, თუ სიცოცხლეს მაგ ავაზაკი ხალხის ხელში, რომელნიც თქვენც ავაზაკებათ გარდაქმნიან?

**დიეგო და კლარა.** თქვენთან ერთად დავიხოცებით და თავის დღეში-კი არ ვიქმნებით ბოროტნი და ავაზაკნი!

**დონ-იმან.** აი, საცაა დაგვესხმიან თავს, ბოროტნი და ულმობელნი, რომელნიც თქვენ კეთილისა და მხიარულ სახეს გაჩვენებენ; და დაგიწყებენ ლაპარაკს, რომ აღასრულოთ ყველა იმათი სურვილი, დაგპირდებიან მთელი ქვეყნის სიკეთეს, მხოლოდ იმ პირობით, თუ დაანებებთ ებრაელობას თავს და გარდაიქმნებით ბოროტ კაცებად, თქვენ ყურადღებას მიაქცევთ იმათ სიტყვებს?

**დიეგო და კლარა.** არა, არა, არა!

**ხმა სცენის ზევიდან.** (შემზარავად და საშინლად) გააღეთ! გააღეთ!

**დონ იმან.** რომ გაწამონ ძნელი და აუტანელი წამებით და იძულებულ გყონ „დაანებოთ ებრაელობას თავი,—იცით რა უნდა მიუგოთ?

**დიეგო და კლარა.** „არც დაგთანხმდებით და არც გვსურს!“

**დონ იმან.** აგრე, აგრე მიუგეთ თუნდაც აგკუწონ, ნაჭერ-ნაჭერად გაქციონ, წვეთ-წვეთადაც. რომ დაღვარონ თქვენი სისხლი; კი სული გედგათ და შეგეძლოთ ხმის ამოღება—მიაძახეთ: „ებრაელებად დავბადებულვართ და ებრაელებადვე დავშთებით უკანასკნელ წუთამდის თქო!“

**დიეგო და კლარა.** „ებრაელები დავბადებულვართ და ებრაელებივე დავშთებით უკანასკნელ წუთამდე!“

**ხმა სცენის ზევიდან** (მოისმის ხმა ზარდამცემი და შემაძრწუნებელი). გააღეთ! გააღეთ! გააღეთ! (კარებზე აბრახუნებენ ზედი-ზედ და მძლავრად. მოისმის ნაჯახის ხმა, რომლითაც სჭრიან კარებს, და ფიცრების მტვრევის ხმა).

**დონ იმან.** (მიაქვს დიეგოსა და კლარასთან დაბადება). დაიფიცეთ!

**დიეგო და კლარა.** ვფიცავთ!

(მოისმის მძლავრი ჯახუნი. კარები იმსხვრევა. გამოქვაბულში შემოდიან მღვდლები, შეიარაღებულნი ჯარის კაცნი და კათოლიკენი მეტწილ ქურუმთაგანნი, ჩამოფარებული აქვთ სახეზე საბურავი, ამათი შეხედულება საშინელი და ზარის დამცემია).

## VI

**იგინივე, მღვდელნი, ჯარის კაცნი და კათოლიკენი.**

**დონნა ლაურა.** (მივარდება შვილებს, იკრავს გულში და საშინელი გულის შემზარავი ხმით). შვილებო, შვილებო, ჩემო დაღუპულო შვილებო! (გამოქვაბულში თანდათან შემოდიან. ისმის ხმლების წკრიალი და ბორკილების ჩხარაჩხური, ჯარის კაცნი სდგებიან წყობად და ხელში უპყრიათ ამოწვდილი ხმლები, რომელთაც გააქვთ პრიალი. მათ იქით სდგანან მღვდლები. რა დაინახავენ, რომ ებრაელები თავიანთთვის სდგანან და არა იღილობენ გაწინააღმდეგებას და მათთან ბრძოლას, ნელ-ნელა უახლოვდებიან და აცქერდებიან. ებრაელები განაგრძობენ გულიანად ლოცვას).

**1 მღვდელი.** (აგდებით) კარგი ჯგუფია! აი, კარგი და ნადირები, მოხუცო ფრანცისკო. ჩვენ ბადე ვესროლეთ, გვინდოდა ერთი თევზი დაგვეჭირა და ხედავ რა მოზრდილი თევზები მოხვდენ ჩვენს ბადეს. ამისთანა თევზების შეწვა ცეცხლზე ძალიან კარგია. დიახ, ძალიან კარგი და სასიამოვნო დღესასწაული გვექნება ხვალ! ხა-ხა-ხა! (იცინის საშინელი შემაძრწუნებელი ხმით).

**ნ. ელიაშვილი—ბენ დავიდ**

(დასასრული იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრების თანამედროვე შვილი

პატარა ბიჭი ვიყავი: ვცემდი, ვაგინებდი, ვლანძღავდი ამხანაგებს .. იგინი სტიროდენ, მე ვიცინოდი, მიხაროდა: ვსტკბებოდი მათის ტანჯვით. მამას სწყინდა, სჯავრობდა, დასჯას მიქადდა. მე ყურადღებას არ ვაქცევდი, ბოდიშს არ ვიხდიდი, თავს არ ვიმდაბლებდი. ვიპარავდი ფულებს... ვყიდულობდი საჩუქრებს, მიმქონდა მამას მეგობრებთან... შუამდგომლობდენ, მამა მირიგდებოდა.

გავიზარდე: დავიწყე ქურდობა, მშიერტიტველთ არ ვიბრალებდი... ვპარავდი საზრდოს... ვჩხუბობდი, კაცს ვკლავდი... მიჩივლებდნენ, მსაჯულს ქრთამს ვაძლევდი, მართლებდნენ. სიცრუეზე ვფიცულობდი... თავს ვიმართლებდი... მართალს ბრალსა ვდებდი, ციხეში ვალპობდი... გაჭირვებულთ ტყავს ვაძრობდი, არავის ვინდობდი .. სიტყვა ჩემი სჭრიდა!..

დავუძლურდი ექიმებს უძახი... სიბერე წამალს არ იკარებს... ღონე მიმდის... სულის ცხონებას შევუდექი... ვიბარებ მღვდლებს, ბერებს, ვასაჩუქრებ .. შუამდგომლათ ვგზავნი ღმერთთან... მადლობას მეუბნებიან, მპირდებიან ცოდვებიდან ხსნას... ლოცულობენ, ჩემ თავს ღმერთს ავედრებენ...

ვკვდები .. მე არხეინათა ვარ, ჯოჯოხეთის არ მეშინიან.. მოსყიდული მყავს... თავი წმინდანათ მიმაჩნია; თავს სინანულით არ ვიწუხებ, სხვები ევედრებიან ჩემს მაგიერ. საყდარში ზარებსა რეკავენ, ხალხს პარაკლისზე უძახიან... მღვდლები, ბერები იმოსებიან... ხატებს სანთლებით აჩაღებენ... ლოცულობენ... ღმერთსა სთხოვენ ჩემთა ცოდვათა პატიებას... ხალხს მუხლ-მოყრით ავედრებენ ღმერთს...

შემოსილი მღვდლები, ბერები, ჩემს სხეულს ძვირფას კუბოში სდებენ; „წმინდაო ღმერთოს“ მიმღერიან, გუნდრუკს მიკმევენ, მიმასვენებენ ეკლესიაში... მნათე ზარებს ატირებს, ხალხს სამგლოვიაროდ იწვევს... ხალხი გარს მეხვევა, ნატრობენ ჩემსავით სიკვდილს.

დამასვენეს ეკლესიის მაგიდაზე, პანაშვიდს მიხდიან, მუხლის მოყრით ავედრებენ ჩემს თავს ღმერთს, „წმიდათა თანა განუსვენე უფალო“ მგალობენ .. დაქრთამული მყავს, „ქრთამი ჯოჯოხეთსაცა ანათებსო“, რა მენა ღვლება?

**კ. მარტვილელი**

# რისთვის იცვლება ადამიანი

(ქართველ მაჰმადიანთა შორის აჭარაში ჩაწერილი)

პირველ ყოვლისა ღმერთმა კაცი გააჩინა და უთხრა:

— იცოცხლე ოცდაათ წელს, იმუშავე და თავი ირჩინეო. კაცმა მიუგო:

— უფალო, თუ გამაჩინე, ხანიც მომიმატეო!

მერმე ღმერთმა გააჩინა ვირი, იმასაც ღმერთმა იგივე უთხრა, რაც კაცს: იცოცხლე, იმუშავე და მხოლოდ 30 წელს გასძლებო. ვირმა მიუგო: შენი ნაბრძანები თუ გინდა ათი წელიც იყოსო. მაშინ ღმერთმა ოცი წელი გამოაკლო ვირს და მიუმატა კაცს.

შემდეგ ღმერთმა ძაღლი გააჩინა და ძაღლსაც იგივე გაუმეორა: იცოცხლე 30 წელი და წყესე კაცის ბინაო. ძაღლმა ვირივით მიუგო: შენი ნაბრძანები თუ გინდა ათი წელი იყოსო. მაშინ ღმერთმა ოცი წელი მოაკლო ძაღლს და მიუმატა კაცს.

ამ რიგად კაცს პირველი 30 წელი თავისი აქვს და არაფრად აფასებს, ისე უდარდელად ცხოვრობს. ამ პირველ თავის ცხოვრების ხანაში იგი ცოლს ირთავს და უზრუნველად ატარებს დროს. შემდეგ გადადის ვირის ხანაში, ვირივით მუშაობს და მოსვენება არ აქვს, არავის ეშლება და ცხოვრობს თავისთვის. შემდეგ გადადის ძაღლის ხანაში. მაშინ ძაღლივით მუშაობას თანდათან უკლებს, იწყებს ძაღლივით ღრენა-ყეფას, არავის ენდობა... ცოლთან და რძალთან ეჭვიანობს და ყველას—გარეშეს და შინაურს—ეჩხუბება.

**ირ. ურუშაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქ. მოსკოვის ქართველთ საზ ბის დარბაზში ყოველ შაბათობით იმართება ხოლმე საოჯახო საღამოები გ. ჭ „ჩაი"-. საღამოს მიზანია ხელი შეუწყოს აქ გადმოხვეწილ ქართველებს ერთმანეთში გაცნობას. ამ პატარა საღამოებზე [illegible]ითხება ლექსები, მღერიან, უკრავენ: დოლზე, [illegible]ლზე, ცეკვავენ და სხ. წრეულსაც საღამოები ენკენისთვის 17 დან დაიწყო. ღვინობისთვის 15 გაიმართა მე 35 საღამო (თუ არ ვცდები). ამ საღამოს ქართველ ახალგაზრდობას უფრო სიმხიარულე ეტყობოდა. დროებით ყველას დავიწყებია სევდა ვარამი და საერთო სიმხიარულეს მისცემოდენ. 9 ს. გაიღო დარბაზის კარები და შემოანათა ეკატერინე გაბაშვილის ჭადარა თმამ. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, როგორი აღფრთოვანებით მიეგება მას აქაური ქართველი ახალგაზრდობა. პირველი მისასალმებელი სიტყვა უთხრა ექ. ზანდუკელმა. მან მოკლე, მა[illegible]ამ აზრიანი სიტყვით მთელი დარბაზი აახმაურა; ტაშის ცემას და ვაშას ძახილს საზღვარი არა ქონდა. შემდეგ მიესალმა სტ. ი[illegible]კლი ამირაჯიბი. მშვენიერი ლექსით მიესალმა ახალგაზრდა მგოსანი ი. მჭედლიშვილი. ეკატერინეს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვეღარ მოახერხა ორიოდე სიტყვით მ გვესალმა; ეტყობოდა აღელდა. ეს საღამო სხვა საღამოებზე შინაარსიანდა უფრო მხიარულიც გამოდგა. გ. ტაბიძემ და დ. ცვარნამმა მშვენიერი ლექსები წაიკითხეს. დაშლის 12 ს. ეკატერინე გამოგვემშვიდობა და ჩვენც დავიშალენით.

უნდა აღვნიშნო, რომ საღამოები ერთფეროვანი და უშინაარსოა. საჭიროა ცეკვა-სიმღერის გარდა სერიოზული რამეც მოაწყონ ხოლმე.

შანგანი

**არმავირში**, კვირას, 9/X „ახალ თეატრის" დარბაზში მსახიობ ს. სვიმონიძის მონაწილეობით ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „დამნაშავის ოჯახი" დრამა 5 მოქმ. ჯიაკომეტისა (გადმოკეთებული იტალიანურიდან. მართალია პიესა შინაარსიანია, [illegible] ამ საჩვენო არ არის, განსაკუთრებით არმავ[illegible]ლებისთვის. ადგილობრივი ქართველების უმრავლესობა იმდენად ა[illegible] არის წარმოდგენებს გაცნობილი და შეჩვეული, როგორც თვით პიესის შინაარსის გაგება მოითხოვს. აქ უფრო მდაბიო გასაგები პიესები უნდა იდგმებოდეს, რადგან არმავირის ქართველების უმრავლესობა ძლიერ დაშორებული წარმოდგენებს. ამ ოქტომბრის 9 წარმოდგენაზე დამსწრეთ არც-კი გაუგიათ, რას არდგენდენ. წარმოდ[illegible]ნამ მშვენივრათ ჩაიარა: ნაკისრ როლებს კარგა ასრულებდნენ. [illegible] ო. ჩხეიძე (ალათა-პოლმიერის) როლი რომ უკეთ ქონოდა შესწავლილი და მეტი დრამატიული უნარით დაესურათებინა, უჯობდა. ეს მესამედ გამოდის სცენაზე; მ. ლომიძეს (როზალია) როლი შესწავლილი ქონდა, კარგათაც შეასრულა, ხოლო ბოლო მოქმედებაში მოისუსტებდა: პირ. სახეზე სავსებით არ ეტყობოდა მწუხარება, კაცი იფიქრებდა, თითქოს უხარიან ქმრის ტანჯვა-სიკვდილით. ს. ხარაჯიშვილის ასული (ემმა),—ეს იშვიათი ადამიანი პირველად გამოდის სცენაზე მართლა და არტისტიულად შეასრულა თავისი როლი, თითქმის უნაკლულოდ, ხმაც ხელს უწყობს, იმედია მომავალშიც დაამშვენებს არმავირის სცენას. ბ. ს. სვიმონიძე (კორრადო)—ეს მისი საკუთარი როლია და ყველამ კარგად უწყის, თუ როგორ შეასრულებდა მას. ბ-ნი გ. გორელმა (მონ სენიორ აბატ) როლი იცოდა. უკეთესი იქნებოდა მეტად არ გაეზრტყელებინა სიტყვები, რაც არა ბუნებრივად ხდიდა მის ხმას. ამ უკანასკნელს სერიოზულ როლების შესრულებს, ცოტა არ იყოს, არ ეხერხება—მას უფრო „კომიკობა"—მასხრობა შეშვენის. ბ-ნ დ გერული (ექიმი არჩიო პალიმერ) ეტყობოდა სიჩქარე თუმცა როლი იცოდა. ამ სცენის მოყვარეს დიქცია არ უვარგა: ყველა როლს თავიდან ბოლომდე ერთ კილოზე ასრულებს. ბ-ნ ი. ბუხულმა (დონ ფერანდ[illegible]) გვარიანად შეასრულა ნაკისრი როლი, ცოტა მიხვრა მოხვრა ხელს არ უწყობდა. გრეოვე გვარიანი იყო ახალგაზრდა ი. ხალიაპინი. საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ხალხიც ნაკლები დაესწრო

ღვინობისთვის 11 გაიმართა შერეული წარმოდგენა: "სამშობლო"ს უკანასკნელი მოქმედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, და დივერტისმენტი (ლექსები და სხ.) ეს იყო უკანასკნელი წარმოდგენა ბ-ნ ს. სვიმონიძის საბენეფისოდ და კარგათაც ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ მიართვეს საჩუქარი (ვერცხლის პორტსიგარი, ღირებული 65 მ. ზედ წ...რით („ს. ბ. სვიმონიძეს არმავირის ქართველებისაგან 11 ოქტომბერი 1916 წ.") და შეკაფერისი სიტყვებიც უთხრეს, რამაც ძლიერი ატაშის ცემა გამოიწვია. ბ. სვიმონიძემ დი...ი მადლობა გადაუხადა არმავირის საზოგადოებას პატივისცემისთვის. ს. სვიმონიძემ ქ. არმავირში 9 დღის განმავლობაში სამი წარმოდგენა გამართა, რისთვისაც არმავირის ქართველები დიდი მადლობელნი არიან. ამასთანავე მადლობის ღირსნი არიან ქ-ნ ელენე უაველაშვილისა და ბ-ნ ალ. ყაველაშვილი (თავმჯდომარე არმავირის განყოფილების ქ. შ. წ. კ. გ. ს.), რომლებიც თავის ოჯახობით დიდს დახმარებას უწევენ კულტურულ საქმეს. **მედგარი**

## წვრილი ამბები

**ვალ. გუნია** ლოგინიდან წამოდგა, სახლში დადის, საჭიროა სახლი გამოეცვალოს,

**თ. ჟორდანიას** დაკრძალვას მრავალი საზოგადოება დაესწრო. დაკრძალეს დიდუბეში, ითქვა რამდენიმე სიტყვა

**ქართველ ჯარისკაცთ** მოწინავე პოზიციეზე ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" სამი თვით გაუწერა გიორგი ანდრ მაღრაძემ.

**ჟურნალის სასარგებლოდ** ქაღალდის სიძვირის გამო თ. აფხაზიშვილისაგან მივიღეთ 2 მ.

**ქართველ ხელოვანთა** საზ-ბა ამ მოკლე ხანში გამოფენას გამართავს. მხატვ, შავარდნაძე მოხსენებას წაიკითხავს.

**ჰენრიხ სენკევიჩი,** პოლონეთის სახელგანთქმული მწერალი—რომანისტი, დამწერი „ცეცხლითა და მახვილითა"-სი, „წარღვნის" და სხ. გარდაიცვალა 4 XI, დაბადებიდან 70 წ.

**ქართულ თეატრის აღმაშენებელ** კომიტეტის კრება გაიმართება ამ მოკლე ხანში, განზრახულია თეატრის აღსაშენებლად ფულის შეკრებას ახლავე შეუდგნენ,

**ნ. ბარათაშვილის** დაბადების ასის წლის თავის (გიორგობისთვის 22) აღსანიშნავა... ქართ. სიტ.-კაზ. საზ-ის გამგეობის თაოსნობით გიორგობისთვის 21 დიდუბის გალავანში მგოსნის სამარესთან გადაიხდიან პანაშვიდს, სამარეს შეამკობენ ცოცხალ ყვავილებით, ხოლო საღამოთი გაიმართება ამავე საზ-ის საზეიმო კრება მგოსნის პატივსაცემლად.

**„თეატრი და ცხოვრების"** შემდეგი ნომერი (47) სრულიად ეძღვნება ნ. ბარათაშვილის ხსოვნას.

**ივ. გომართელი,** საეროზო ბიუროს დავალებით, გამალეებით სწერს „რა არის ერობა". (ცილი მოთხრობისებურია, შიგა და შიგ კითხვა მიგებით სოფლის მასწავლებელსა და გლეხთა შორის). დაწერილია მდაბიური, ხალხური ენით.

**ქართულ საკულტურო საზ-თა კავშირის** კრება შესდგა ღვინობისთვის 29 გადასწყდა მთავარი ყურადღება მიექცეს ჩვენს ეროვნულ-კულტურულ ცხოვრების უმთავრეს საკითხთა გარჩევას, ზოგადი გეგმის შედგენას და სახელმძღვანელო აზრების შემუშავებას. ლ. ბოცვაძემ წაიკითხა მოხსენება „სახალხო სკოლა და პროფესიონალური განათლება" გიორგობისთვის 6 შედგა გამგეობის კრება. შემდეგი კრება სამეურნეო ბანკში გაიმართება კვირას, 13 გიორგობისთვეს საღამო 7 ს. ლ. ბოცვაძის მოხსენების დებულებათა გასარჩევად,

**„ახალი კლუბის"** წევრთა საზოგადო კრებამ გიორგობისთვის 6 პ. გოთუას თავმჯდომარეობით, განიხილა კლუბის ნამოქმედარი. კლუბს 1916 წ. 1 იანვრიდან 1 გიორგობისთვემდი შემოსავალი ჰქონია 187000 მ. წმინდა მოგება—53000 მ., შეუძენია კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციები (გადაუხდი... 000 მ.). იანვრამდე მოსალოდნელია 26000 მ. ზედმეტი ხარჯი. კრებამ დაადგინა: ა, დამტკიცდეს ზედ მეტი ხარჯი, ბ, სასადილო ოთახი შეკეთდეს, გ, ავადმყოფ მსახიობს პანზეს მიეცეს—300 მ. დ, კლუბის ბუღალტერს ა. კორძაიას, რომელსაც სამხედრო სამსახურში იწვევენ, 720 მ. მიექცეს ყურადღება ქართულ მუსიკას.

**ტ. ნაზარიანის სალონში** გასულ ორ პარასკევს ბ-ნმა კობიაკოვმა საყურადღებო მოხსენება წაიკითხა თბილისის სახაზინო თეატრის არსებობის 20 წლის შესრულების შესახებ

**დღეს ახალ კლუბში** ქართ დრამ. დას. წარმოადგენს „პატარა კახი".

— **აკაკი ხოშტარიამ,** ცნობილმა მრეწველმა და ქველმოქმედმა ქუთაისის ქართულ გიმნაზიის საფიზიკო კაბინეტის მოსაწყობად 5000 მ. შესწირა.

**კოტე ყიფიანის** პიესები ვიღაცას წაუღია წასაკითხადა. ავტორი სთხოვს, პიესები დაუბრუნონ, რომ ცალკე გამოცემას შეუდგეს.

**სახალხო სახლში**

ამ მოკლე ხანში გაიმართება მრავალფეროვანი დილა. შემოსავლის ნაწილი ქართულ თეატრის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ გადაიდება,

— **მოწაფეთა ერთ ჯგუფს** განუზრახავს კვირეული სალიტერატურო ჟურნალის „ხომლი" გამოცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხარფუხის კლუბში ქართ. დრამ. დასმა ხუთშაბათს წარმოადგინა „სოფლის ექიმი“ და „მათიკო“. სათეატრო დარბაზი მოხერხებულია, საუცხოვოდ ისმის ხმა და თვით უკანასკნელ რიგიდანაც ისე სჩანს, როგორც პირველი რიგიდან.

— სახალხო სახლში სახ. წრემ სამშაბათს წარმოადგინა „მსხვერპლი“. დიდძალი ხალხი, განსაკუთრებით მოზარდი თაობა, დაესწრო.

— ქართული გიმნაზიის მშობელთა წრის სასარგებლოდ ს. ი. ბაქრაძის თაოსნობით ქრისტეშ. 7 საზინო თეატრში იწარმოდგენ გაიმართება.

— ნ. პ. ლოლობერიძის პრემია, 300 მ., წერა-კითხვის საზ. გამ. გიორგობისთვის 8 მიანიჭა იუსტინე ...აძის თხზულების „ვეფხის ტყაოსნის“ და „კრი...კული ტექსტის“ რამდენიმე ნიმუში.

— ქართ. წერა-კითხვის საზ-ბის წლიური კრება გაიმართება ქრისტიშობისთვის 4.

— ბაქოს დრამ. წრის სეზონი კარგად მიდის.

— დ. ხონის მოწინავე პირთა ჯგუფმა მოაწყო წარმოდგენების მართვა შეადგინა დრამატიული წრე, წესდება შეიმუშავა და დასამტკიცებლად გაამზადა.

— ლოტბარი მ. კავსაძე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

— ახალგაზრდა მო...ერალი ქალი მ. ა. შავერზაშვილი ამ მოკლე ...ი ბათომში კონცერტს მართავს გარბუზოვის ...ირე წლოვან (7 წ.) ასულის რაისას მონაწილეობით (ვიოლონი). ივივენი მიწვეული არიან განჯაში.

— იპ. ვართაგავამ „ახ. კლ.“ დარბაზში გიორგობისთვის 6 წაიკითხა თვისი ვრცელი მიმოხილვა შ. მღვიმელის ნაწარმოებნი „შ. მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“. ლექტორმა მგოსანი შიო დიდი ქებით მოიხსენია. ლექცია მეტად გრძელი აღმოჩნდა (სამ საათზე მეტს კითხულობდა). უმთავრესად მოწაფეენი დაესწრენ და ლექტორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. სასურველია რომელსამე გამოცემაში ანუ ცალკე დაიბეჭდებოდეს.

— ჟურნალისტი სეით დევდარიანი, ამას წინად ხარკოვში დატუსაღებული, ასტრახანის გუბერნიაში გადაასახლეს.

— სახალხო სახლში ორშაბათს ღვინობ. 14, სალიტერატურო დილა ილია ნაკაშიძის მონაწილეობით. 1, ლექცია-ეროვნული საკითხი. 2, შეშლილის წერილები, 3, გეურქ ალა დამანტაჟისტები, 4 დივერისმენტი.


ახალი კლუბი 1 ქვირის კრიზ 13-20 გიორგობ.

ქვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი.

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.

შაბ. — სიმფონიური ორკესტრი კონცერტი მ. ა. ვოლფი-იზრაელის ხელმძღვან.

ქვირა — რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ სა

შესასვლელი ფასი მანდილოსნები 50-კ, მამაკაცნი — 1-მან.

კონსერვატორიის პროგრ. ვამზადებ სტრიპკაზე

ილი ო ქურხული მი-სა.

მართი წერილით: Орхевскій пер. д. 75





რ...ის საზოგადო კლუბი

დავი და ახალ საზამთრო ბინაზე—მიხეილის პროსპექტი, № 168, „აპალოს“ ზევით.